თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4690700

ნომერი: AR1707865

თარიღი : 19.09.2019

გაცემის თარიღი : 30.09.2019

გაცნობის თარიღი : 30.09.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 77ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სივსივაძე პ/ნ 38001031734
- საჩხერე რ.ჯაფარიძის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  კორექტირება
- ღია სათამაშო და სპორტული მოედნის მოწყობა (მაყურებელთა ტრიბუნებისა და მათი ინფრასტრუქტურის გარეშე)
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად, დგინდება, რომ თქვენ მიერ დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს მათ შორის სპორტული მოედნის დემონტაჟს. აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ №01.10.13.023.198 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 2019 წლის 24 ივლისის AR167949 განცხადებით სამსახურში მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებდა შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთზე არსებული სპორტული მოედნების დემონტაჟს. „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია სპორტული ბაზის ფუნქციის შეცვლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან შეუთანხმებლად, ხოლო, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუშვებელია სპორტული ობიექტების ლიკვიდაცია ან პროფილის შეცვლა სანაცვლო ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა წერილობით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პოზიციის დაფიქსირებისათვის. სამინისტრომ 27/06/2019 წლის MES 8 19 00863219 წერილით სამსახურს აცნობა, რომ „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არ მიაჩნია შესაძლებლად სპორტული მოედნების დემონტაჟი სანაცვლო, ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 05/07/2019 № 4577261 გადაწყვეტილებით განმცხადებელს დაევალა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანხმობის წარმოედგინა, რომლითაც ასევე დადასტურდებოდა სპორტული მოედნების დემონტაჟი სანაცვლო, ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ფაქტი. განმცხადებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა არ მომხდარა. ამასთან, სამსახურს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა 17/07/2019 წლის №19-01191982022 წერილით აცნობა, რომ საქალაქო სამსახური წინააღმდეგია კოსტავას ქუჩა №77 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.198) განთავსებული სპორტული მოედნების დემონტაჟის და მიზანშეწონილად მიაჩნია მათი შენარჩუნება არსებული ფუნქციის გათვალისწინებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ ეტაპზე თქვენ მიერ დაგეგმილი სამუშაობი მოიცავს სპორტული მოედნის დემონტაჟს და ვინაიდან განცხადებაზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის თანხმობა, რომლითაც ასევე დადასტურდებოდა სპორტული მოედნების დემონტაჟი სანაცვლო, ან ტოლფასი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ფაქტი, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს კოსტავას ქუჩა №77 ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.13.023.198) 2019 წლის 19 სექტემბრის AR1707865 განცხადებით მოთხოვნილ სამუშაოებზე წერილობითი დასტური.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.